

შპს „მაქსთერმი“

ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შინაარსი:

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	3
---------------------------------------	---

ფინანსური ანგარიშგება

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	7
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	8
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	9
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	10

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	11
2. მომზადების საფუძვლები.....	11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	11
4. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	12
5. წინა პერიოდის ცვლილება	18
6. ამონაგები	19
7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	19
8. სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები	20
9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20
10. ფინანსური შემოსავალი, წმინდა	20
11. ძირითადი საშუალებები.....	21
12. მარაგები	21
13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	22
14. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	23
15. მიღებული სესხები.....	23
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	23
17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან.....	24
18. პირობითი ვალდებულებები.....	24
19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	25

მმართველობის ანგარიშგება	26
--------------------------------	----

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „მაქსტერმის“ ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „მაქსტერმის“ (შემდგომში „კომპანია“) თანდართული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგების, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისა და სხვა განმარტებითი შენიშვნებისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია, რომელიც შეტანილია თანდართულ მმართველობის ანგარიშგებაში მიღებული გვექონდა აუდიტორის დასკვნის თარიღისთვის და მასზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოხსენებულ სხვა ინფორმაციას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციასაც და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

სხვა გარემოებათა ამსახველი აზრები

შპს მაქსტერმის 2022 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი არ ჩატარებულა. ჩვენ, 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში ჩავატარეთ აგრეთვე მე-5 შენიშვნაში აღწერილი წინა პერიოდის კორექტირებების აუდიტიც, რომელიც განხორციელდა 2022 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების სწორი წარდგენის მიზნებისთვის.

ჩვენი აზრით, მსგავსი კორექტირებები მიზანშეწონილია და სათანადოდ არის გაკეთებული. ჩვენ არ დავუნიშნევართ კომპანიას 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის, მიმოხილვის ან მასზე რაიმე პროცედურების ჩასატარებლად. გარდა აღნიშნული შესწორებებისა, ჩვენ არ გამოვხატავთ მოსაზრებას ან რაიმე სხვა სახის რწმუნებას მთლიანად 2022 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე ჩვენი დასკვნა არ არის მოდიფიცირებული.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სხვა საკითხებთან ერთად ჩვენ კომუნიკაცია გვაქვს მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებთან აუდიტის მასშტაბზე, ვადგენსა და აუდიტის შედეგად აღმოჩენილი მნიშვნელოვანი საკითხების შესახებ, მათ შორის, შიდა კონტროლის ნაკლოვანებების შესახებ.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

მოსაზრება

აუდიტის დროს ჩატარებულ სამუშაოზე დაყრდნობით გამოვთქვამთ მოსაზრებას, რომ:

- 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია, თანხვედრაშია 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- 2023 წლის მმართველობის ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მოიცავს "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის მმართველობის ანგარიშგება მოამზადონ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან მმართველობის ანგარიშგების მომზადების პროცესს გაუწიონ ზედამხედველობა.



აუდიტორის პასუხისმგებლობა მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა, გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის მიერ წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგების ფინანსურ ანგარიშგებასთან თანხვედნილობაზე და ასევე - მოიცავს თუ არა იგი “ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ” საქართველოს კანონის მე-7 მუხლით მოთხოვნილ ინფორმაციას.

გარიგების პარტნიორი, რომელიც პასუხისმგებელია აუდიტზე, რომლის შედეგებიც ასახულია დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნაში, არის:

დავით დარსაველიძე (რეესტრში რეგისტრაციის ნომერი **SARAS-A-735032**)

შპს „ბიდიო აუდიტის“ სახელით

თბილისი, საქართველო

24 სექტემბერი, 2024 წელი

შპს „მაქსთერმი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022*
ამონაგები	6	30,583,722	30,492,434
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(22,202,410)	(23,243,484)
საერთო მოგება		8,381,312	7,248,950
სხვა შემოსავალი		66,709	37,945
სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები	8	(3,322,566)	(2,815,224)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(953,939)	(781,393)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და ავანსების გაუფასურების ხარჯი		(83,833)	(134,781)
საოპერაციო მოგება		4,087,683	3,555,497
ფინანსური შემოსავალი, წმინდა	10	8,876	73,057
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა		(120,876)	464,371
მოგება დაბეგვრამდე		3,975,683	4,092,925
მოგების გადასახადი		(364,087)	(343,653)
მთლიანი სრული შემოსავალი		3,611,596	3,749,272

(*) - საანგარიშგებო წელი, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს, გადანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 24 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი	_____	გიორგი კუკულავა
ფინანსური მენეჯერი	_____	თამარ ხუხუნიშვილი

11-25 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მაქსთერმი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)


	შენიშვნა	2023	2022*
ამონაგები	6	30,583,722	30,492,434
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	7	(22,202,410)	(23,243,484)
საერთო მოგება		8,381,312	7,248,950
სხვა შემოსავალი		66,709	37,945
სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები	8	(3,322,566)	(2,815,224)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(953,939)	(781,393)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და ავანსების გაუფასურების ხარჯი		(83,833)	(134,781)
საოპერაციო მოგება		4,087,683	3,555,497
ფინანსური შემოსავალი, წმინდა	10	8,876	73,057
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა		(120,876)	464,371
მოგება დაბეგვრამდე		3,975,683	4,092,925
მოგების გადასახადი		(364,087)	(343,653)
მთლიანი სრული შემოსავალი		3,611,596	3,749,272

(*) - საანგარიშგებო წელი, რომელიც დასრულდა 2022 წლის 31 დეკემბერს, გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული ფინანსური ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 24 სექტემბერს შემდეგი პირების მიერ:

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი



გიორგი კუკულავა

თამარ ხუხუნიშვილი

11-25 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მაქსთერმი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	11	4,132,421	2,951,871
არამატერიალური აქტივები		33,686	37,060
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები		104,416	-
		4,270,523	2,988,931
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	9,312,034	7,833,476
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	715,562	531,598
გაცემული სესხები		174,504	-
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	14	655,609	768,798
		10,857,709	9,133,872
სულ აქტივები		15,128,232	12,122,803
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		200	200
დაგროვილი მოგება		9,855,460	8,307,022
სულ კაპიტალი		9,855,660	8,307,222
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	797,712	-
		797,712	-
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მიღებული სესხები	15	231,420	432,660
მიღებული ავანსები		693,817	594,313
საგადასახადო ვალდებულებები		22,655	45,703
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	3,526,968	2,742,905
		4,474,860	3,815,581
სულ ვალდებულებები		5,272,572	3,815,581
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		15,128,232	12,122,803

(*) - 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი ნაშთები გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

შპს „მაქსთერმი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი მოგება	სულ კაპიტალი
01.01.2022	200	6,505,118	6,505,318
მთლიანი სრული მოგება	-	3,749,272	3,749,272
დივიდენდის გამოცხადება	-	(1,947,368)	(1,947,368)
31.12.2022	200	8,307,022	8,307,222
მთლიანი სრული მოგება	-	3,611,596	3,611,596
დივიდენდის გამოცხადება	-	(2,063,158)	(2,063,158)
31.12.2023	200	9,855,460	9,855,660

(*) - 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი ნაშთები გადაანგარიშებულია. დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 5.

11-25 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „მაქსტერმი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ლარში)

	შენიშვნა	2023	2022*
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან მოგება დაბეგრამდე		3,975,683	4,092,925
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	8,9	170,783	138,556
ძირითადი საშუალებების გასვლა		1,354	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული მოგება		(38,130)	-
სავაჭრო მოთხოვნების და გაცემული ავანსების საექვო ვალების რეზერვი	13	474	6,833
ფინანსური ხარჯი, წმინდა	10	83,833	134,781
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული (მოგება)/ზარალი, წმინდა		111,526	(544,261)
ფულადი ნაკადები საბრუნავ კაპიტალში ცვლილებამდე		4,305,523	3,828,834
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(280,772)	(372,464)
მარაგების ზრდა		(1,478,558)	(1,312,738)
მიღებული ავანსების ზრდა		99,504	594,313
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		716,875	445,240
საგადასახადო ვალდებულებების შემცირება		(23,048)	(265,728)
საოპერაციო საქმიანობისთვის გამოყენებული ფულადი სახსრები		(965,999)	(911,377)
გადახდილი პროცენტები		(48,699)	(20,328)
გადახდილი მოგების გადასახადი		(364,087)	(343,653)
მიღებული პროცენტები დეპოზიტებიდან		27,655	13,495
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		2,954,393	2,566,971
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან:			
გაცემული სესხების ზრდა		(163,000)	-
ძირითადი საშუალებების რეალიზაცია		38,130	-
მიღებული პროცენტები სესხებიდან		9,065	-
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,343,135)	(42,513)
გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები		(104,416)	-
არამატერიალური აქტივების შეძენა		(6,178)	(7,307)
საინვესტიციო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,569,534)	(49,820)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
სესხების მიღება		1,048,525	496,575
სესხების დაფარვა		(442,703)	(577,325)
გადახდილი დივიდენდები		(2,063,158)	(1,947,368)
საფინანსო საქმიანობისთვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,457,336)	(2,028,118)
ფულადი სახსრების წმინდა ზრდა/(შემცირება)		(72,477)	489,033
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	14	768,798	288,105
სავალუტო კურსის ცვლილების ეფექტი ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(40,712)	(8,340)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	14	655,609	768,798

11-25 გვერდებზე არსებული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მაქსტერმი (შემდგომში კომპანია, საიდენტიფიკაციო კოდი - 237978113) დაფუძნდა 2005 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი ბელიაშვილი ქუჩა N149.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა გათბობის, ვენტილაციის, წყალ-კანალიზაციისთვის განკუთვნილი პროდუქციის და აბაზანის მოწყობილობის იმპორტი და რეალიზაცია.

კომპანიას საქართველოში აქვს 5 გაყიდვის ცენტრი, თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში.

კომპანიის დირექტორი და საბოლოო მაკონტროლებელი მფლობელი არის - ბატონი გიორგი კუკულავა

კომპანიის დამფუძნებლები 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
გიორგი კუკულავა	70%	70%
ზაქრო გორდაძე	30%	30%

2. მომზადების საფუძვლები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (შემდგომში „მსს ფასს“) შესაბამისად.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, თუ სხვაგვარად არაა მითითებული.

კომპანია, სააღრიცხვო ჩანაწერებს აწარმოებს მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ქართულ ლარში. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია მე-4 შენიშვნაში.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებლებს სურვილი აქვთ, განაგრძონ კომპანია საქართველოში. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისათვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავდებულ იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები - კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კომპანიას არ შეუცვლია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები.

ფინანსური ინსტრუმენტების გაუფასურება - ჯგუფური მეთოდით სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალის შესაფასებლად, კომპანიამ დააჯგუფა ერთი და იგივე საკრედიტო რისკის და ხანდაზმულობის სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. გაუფასურების განაკვეთები განსაზღვრულია კომპანიის ისტორიული განაკვეთებით. გაუფასურების განაკვეთები მრავლდება შესაბამისი მოთხოვნების ნაშთზე იმ პერიოდისთვის, როდესაც თანხის გაანგარიშება ხდება და კლასიფიცირდება როგორც არა-ანაზღაურებადი. კომპანია თვლის, რომ ფინანსური აქტივი დეფოლტურია, როდესაც სახელშეკრულებო გადასახდელი 365 დღეზე მეტ ვადაგადაცილებამია. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანიამ შესაძლებელია აქტივი დეფოლტურად მაშინაც ჩათვალოს, როდესაც შიდა და გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ სავარაუდოა, კომპანიამ ვერ მიიღოს დასაფარი სახელშეკრულებო თანხები.

მომავალ პერიოდთან დაკავშირებული განუსაზღვრელობებიდან გამომდინარე ფაქტიური შედეგი შესაძლებელია მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს იმ შედეგისგან, რომელიც აღრიცხულია ფინანსურ ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივების გაუფასურების შესახებ დეტალები მოცემულია მე-13 შენიშვნაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. აღნიშნული სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისთვის თუ დამატებით სხვა რამ არ არის მითითებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით. ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844

ფინანსური ინსტრუმენტები

საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

კომპანია მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს, ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ ის ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მონაწილე. როდესაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება პირველად აღიარდება, კომპანიამ ისინი უნდა შეაფასოს გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით), თუ შეთანხმება, თავისი არსით, არ წარმოადგენს ფინანსურ ოპერაციას კომპანიისთვის (ფინანსური ვალდებულების დაფინანსება), ან მისი სახელშეკრულებო კონტრაგენტისთვის (ფინანსური აქტივის დაფინანსება). შეთანხმება ფინანსურ ოპერაციად მიიჩნევა, თუ გადახდა გადავადებულია ბიზნესის ჩვეულებრივი პირობებისგან განსხვავებული პირობებით, როგორცაა, მაგალითად, საქონლის ან მომსახურების მყიდველისთვის უპროცენტო კრედიტის მიცემა, ან დაფინანსება ხდება ისეთი საპროცენტო განაკვეთით, რომელიც არ არის საბაზრო განაკვეთი.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, ფასდება გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

არადისკონტრიბუციური ღირებულებით იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს. თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, კომპანია ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტრიბუციურია მსგავსი სავალდებულების ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას. ასეთი ინსტრუმენტების შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებადი ღირებულებით. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებშიც არ არის ნაგულისხმები საპროცენტო განაკვეთი და წარმოადგენს მიმდინარეს საწყისად აღიარდება დაუდისკონტრიბუციური თანხის მოცულობით.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას: (ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას; (ბ) გამოკლებული ძირითადი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები; (გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და (დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშებზე).

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც იწურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. თუ კომპანია არც გადაცემს და არც ინარჩუნებს საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს და აგრძელებს გადაცემული აქტივის კონტროლს, კომპანია აღიარებს თავის შენარჩუნებულ ინტერესს აქტივში და მასთან დაკავშირებულ ვალდებულებაში, იმ თანხების ოდენობით, რომელთა გადახდაც მას შეიძლება მოუხდეს. თუ კომპანია ინარჩუნებს გადაცემული ფინანსური აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკსა და სარგებელს, კომპანია აგრძელებს ფინანსური აქტივის აღიარებას და ასევე აღიარებს მიღებული თანხებისთვის უზრუნველყოფილ ნასესხებ სახსრებს.

ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებასა და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მხოლოდ კომპანიის ვალდებულებების შესრულების, გაუქმების ან ამოწურვის შემთხვევაში. როდესაც ხდება არსებული ფინანსური ვალდებულების ჩანაცვლება სხვა ვალდებულებით, იმავე კრედიტორის წინაშე არსებითად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ასეთი ჩანაცვლება ან ცვლილება განიხილება როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება. აღიარებაშეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ და გადასახდელ საზღაურს შორის სხვაობის აღიარება ხდება მოგებასა და ზარალში.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს ფინანსური აქტივები ფასდება შესაძლო გაუფასურების ნიშნების აღმოსაჩენად. ფინანსური აქტივები გაუფასურებულად ითვლება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ფინანსური აქტივის პირველადი აღიარების შემდეგ დამდგარმა ერთმა ან ერთზე მეტმა მოვლენამ გავლენა მოახდინა ფინანსური აქტივიდან მოსალოდნელ სამომავლო ფულად ნაკადებზე. კომპანია განიხილავს შემდეგ ფაქტორებს შესაძლო გაუფასურების ინდიკატორად:

- ემიტენტის ან კონტრაგენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სირთულეები;
- კონტრაქტის პირობების დარღვევა;
- ძირითადი თანხის ან პროცენტის გადაუხდელობა ან გადახდის დაგვიანება;
- მოსალოდნელია მსესხებლის გაკოტრება ან ფინანსური რეორგანიზაცია.

ფინანსური აქტივები, რომელთა გაუფასურება ინდივიდუალურმა შეფასებამ არ გამოავლინა, დამატებით კოლექტიურადაც ფასდება გაუფასურების დასადგენად. ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეშვეობით დისკონტრიბუციურად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

თვითღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც მიიღება ანალოგიურ ფინანსურ აქტივზე არსებული საბაზრო უკუგების განაკვეთის მეშვეობით დისკონტირებით. ასეთი გაუფასურების ზარალი მომდევნო პერიოდებში არ შებრუნდება.

ფინანსური აქტივის საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების შემთხვევაში, თუ მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად უკავშირდებოდეს გაუფასურების აღიარების შემდეგ დამდგარ გარემოებას, უკვე აღიარებული გაუფასურების ზარალი შებრუნდება მოგებაში ან ზარალში ასახვის მეშვეობით იმდენად, რომ გაუფასურების შებრუნების თარიღისთვის არსებული აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს იმ ამორტიზებად ღირებულებას, რომელიც გვექნებოდა, გაუფასურება რომ არ აღიარებულიყო.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები არის მომხმარებლებისაგან მისაღები თანხები წარმოშობილი მომსახურების გაწევის და პროდუქციის მიყიდვის შედეგად. თუ სავაჭრო მოთხოვნის დაბრუნება მოსალოდნელია ერთ საანგარიშგებო პერიოდში ან უფრო ნაკლებში, ის კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი აქტივი, წინააღმდეგ შემთხვევაში წარდება გრძელვადიან აქტივებში.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების თავდაპირველი აღიარება ხდება რეალური ღირებულებით იმ ტრანზაქციის დანახარჯების ჩათვლით, რომელიც პირდაპირაა დაკავშირებული მის შეძენასა ან გაცემასთან. ხოლო შემდგომ აღიარებულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზებადი ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით, განეჭებული ტრანზაქციების ხარჯებით, შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის მიხედვით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეიტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება, როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში კომპანიის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ხარჯის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება.

	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	50
სატრანსპორტო საშუალებები	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

სასარგებლო მომსახურების ვადა და სალიკვიდაციო ღირებულება მიმოიხილება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

მარაგები

მარაგები თავდაპირველად აღრიცხულია თვითღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება უმცირესით თვითღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ფასს შორის. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასსა და სხვა დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგის შესაბამის ადგილსა და მდგომარეობაში მოსაყვანად. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები. ფასდათმობები და გადასახადები, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა საწარმოს უნდა დაუბრუნონ შემდგომში არ ჩაირთვება მარაგის თვითღირებულებაში.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა ზრდის გაუფასურებული მარაგების საბალანსო ღირებულებას განახლებულ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირეს თანხამდე.

დაბეგვრა

გადასახადები მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს. მოგების გადასახადით დაბეგვრა ხდება მოგების განაწილების დროს. საგადასახადო განაკვეთი წარმოადგენს 15%-ს. მოგების გადასახადით ხდება არა წლიური შედეგების, არამედ ყოველთვიური შედეგის დაბეგვრა.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

მოგების გადასახადით დაბეგრის საგანს წარმოადგენს:

- დივიდენდების გაცემა
- სხვაობა ხელშეკრულების თანხასა და რეალურ ღირებულებას შორის
- ხარჯები, რომლებიც არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას
- უსასყიდლოდ გადაცემები და საჩუქრები
- ლიმიტს ზემოთ გაწეული წარმომადგენლობითი ხარჯები

საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საანგარიშგებო პერიოდისთვის, რომელიც დასრულდა 2017 წლის 31 დეკემბერს, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის გადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად, კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს ურთიერთგადახურვით.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ამონაგები

შემოსავლის განსაზღვრა ხდება საქონლის ან მომსახურების გაყიდვიდან მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავლები წარმოდგენილია ფასდაკლებების გამოკლებით. კომპანია ამონაგებს აღიარებს, როდესაც შემდეგი პირობებია შესრულებული:

(ა) ამონაგების ოდენობის შეფასება შესაძლებელია საიმედოდ;

(ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში;

(გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ შეფასება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს; და

(დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესასრულებლად საჭირო მომავალი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

მიღებული ფასდაკლებები

მომწოდებლებისგან მიღებული სავაჭრო ფასდაკლებები, რომლებიც დამოკიდებულია შეძენის ან გაყიდვის სხვადასხვა პირობაზე, ამცირებს მარაგების თვითღირებულებას ან პირდაპირ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებას.

ფასდაკლებები, რომლებიც დაკავშირებულია სავაჭრო ვალდებულებების გადახდის პირობებზე, აღიარდება სრულ შემოსავლის ანგარიშგებაში, როგორც სხვა საოპერაციო შემოსავალი.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებას ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ

ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები.

სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიანიშნებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

33-ე განყოფილების მიხედვით კომპანია დაკავშირებულ მხარეებად განიხილავს:

(ა) პირი ან მისი ახლო ნათესავი მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ ეს პირი:

- (i) არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან მისი მშობელი საწარმოს უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი;
- (ii) აკონტროლებს ან ერთობლივად აკონტროლებს ანგარიშვალდებულ საწარმოს; ან
- (iii) მას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ანგარიშვალდებულ საწარმოზე; ან

(ბ) საწარმო მიიჩნევა ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ, თუ შემდეგი პირობებიდან რომელიმე არსებობს:

- (i) ეს საწარმო და ანგარიშვალდებული საწარმო არიან ერთი და იმავე ჯგუფის წევრები (რაც იმას ნიშნავს, რომ მშობელი საწარმო, შვილობილი საწარმო და იმავე მშობელი საწარმოს სხვა შვილობილი საწარმოები ერთმანეთთან არიან დაკავშირებულები);
- (ii) ერთი საწარმო არის მეორის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საკმთანობა (ან იმ ჯგუფის რომელიმე წევრის მეკავშირე საწარმო ან ერთობლივი საკმთანობა, რომლის წევრიც არის მეორე საწარმო);
- (iii) ორივე საწარმო წარმოადგენს ერთი და იმავე მესამე საწარმოს ერთობლივ საკმთანობას;

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

- (iv) ერთი საწარმო არის რომელიმე მესამე საწარმოს ერთობლივი საქმიანობა, ხოლო მეორე საწარმო არის იმავე მესამე საწარმოსთვის მეკავშირე საწარმო;
- (v) ეს საწარმო არის ანგარიშვალდებული საწარმოს, ან ანგარიშვალდებულ საწარმოსთან დაკავშირებული რომელიმე საწარმოს დაქირავებულ პირთა შრომითი საქმიანობის შემდგომი გასამრჯელოების პროგრამის განმახორციელებელი. თუ ანგარიშვალდებული საწარმო თვითონ არის ასეთი პროგრამის განმახორციელებელი, სპონსორი დამქირავებლებიც ანგარიშვალდებული საწარმოსთვის დაკავშირებულ მხარედ მიიჩნევა;
- (vi) ამ საწარმოს აკონტროლებს, ან ერთობლივად აკონტროლებს(ა) ქვეპუნქტში მითითებული რომელიმე პირი;
- (vii) ეს საწარმო, ან იმავე ჯგუფში შემავალი სხვა საწარმო, რომლის ნაწილიც ის არის, ანგარიშვალდებული საწარმოსთვის, ან ანგარიშვალდებული საწარმოს მშობელი საწარმოსთვის ასრულებს მმართველობითი ხასიათის მომსახურებას;
- (viii) (ა) (ii) პუნქტში მითითებულ რომელიმე პირს აქვს მნიშვნელოვანი გავლენა ამ საწარმოზე, ან ეს პირი არის ზემოაღნიშნული საწარმოს (ან მისი მშობელი საწარმოს) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის წევრი. როდესაც ხდება დაკავშირებულ მხარესთან ურთიერთობის ანალიზი, გაითვალისწინება არა მხოლოდ ურთიერთობის იურიდიული ფორმა, არამედ მისი არსი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ანგარიშგების შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ

ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

5. წინა პერიოდის ცვლილება

კომპანიის ხელმძღვანელობამ 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გაასწორა წინა პერიოდის შეცდომები. ხელმძღვანელობის მოსაზრებით ახალი წარდგენა უფრო სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას და სრულ შემოსავალს.

წინა პერიოდის ცვლილების ეფექტი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	წინა პერიოდში წარდგენილი	წინა პერიოდის ცვლილება	გადაანგარიშებული 31.12.2022
ძირითადი საშუალებები	2,216,587	735,284	2,951,871
მარაგები	8,032,472	(198,996)	7,833,476
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	726,017	(194,419)	531,598
გადახდილი ავანსები	38,254	(38,254)	-
დაგროვილი მოგება	8,033,936	273,086	8,307,022
მიღებული ავანსები	-	594,313	594,313
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	3,336,698	(593,793)	2,742,905
საგადასახადო ვალდებულებები	15,694	30,009	45,703

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

5. წინა პერიოდის ცვლილება (გაგრძელება)

წინა პერიოდის ცვლილების ეფექტი 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაზე წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	წინა პერიოდში წარდგენილი	წინა პერიოდის ცვლილება	გადაანგარიშებული 2022
ამონაგები მომსახურების გაწევიდან	28,967	(28,967)	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(23,873,159)	629,675	(23,243,484)
სხვა შემოსავალი		37,945	37,945
თანამშრომელთა ხელფასები და სარგებელი	(1,453,366)	1,453,366	-
ცვეთა და ამორტიზაცია	(219,976)	219,976	-
დისტრიბუციისა და გაყიდვის ხარჯები		(2,815,224)	(2,815,224)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(1,743,624)	962,231	(781,393)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების და ავანსების გაუფასურების ხარჯი		(134,781)	(134,781)
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი	577,791	(577,791)	-
ფინანსური შემოსავალი, წმინდა	(22,987)	96,044	73,057
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული მოგება/(ზარალი), წმინდა	663,914	(199,543)	464,371
მოგების გადასახადის ხარჯი	-	(343,653)	(343,653)

6. ამონაგები

	2023	2022
გათბობის სისტემები	24,002,846	23,931,201
მილგაყვანილობა	5,047,378	5,032,312
აბაზანის აქსესუარები და სანტექნიკა	1,495,209	1,490,746
სხვა	38,289	38,175
	30,583,722	30,492,434

7. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2023	2022
გათბობის სისტემები	(17,747,149)	(18,579,315)
მილგაყვანილობა	(3,372,642)	(3,530,786)
აბაზანის აქსესუარები და სანტექნიკა	(1,060,687)	(1,110,423)
სხვა	(21,932)	(22,960)
	(22,202,410)	(23,243,484)

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

8. სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები

	2023	2022
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(1,458,688)	(1,026,924)
გაყიდვასთან დაკავშირებული საკომისიო ხარჯები	(629,146)	(578,083)
რეკლამის ხარჯები	(275,389)	(347,852)
საგარანტიო მომსახურების ხარჯები	(169,661)	(128,686)
იჯარის ხარჯი	(161,762)	(144,995)
ბანკის საკომისიო ხარჯები	(111,997)	(115,983)
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	(102,266)	(74,192)
კომუნალური ხარჯები	(98,588)	(88,549)
საწვავის ხარჯი	(75,411)	(104,930)
სხვა	(239,658)	(205,030)
	(3,322,566)	(2,815,224)

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023	2022
ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი	(509,624)	(432,113)
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურების ხარჯები	(124,809)	(71,152)
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	(68,517)	(64,364)
სამეურნეო ხარჯი	(39,420)	(29,063)
წარმომადგენლობითი ხარჯი	(37,834)	(21,663)
ბანკის საკომისიო ხარჯები	(30,093)	(22,442)
მივლინების ხარჯები	(21,422)	(26,868)
კომუნალური მომსახურების ხარჯი	(19,906)	(18,136)
დაზღვევის ხარჯები	(11,605)	(6,439)
სხვა	(90,709)	(89,153)
	(953,939)	(781,393)

10. ფინანსური შემოსავალი, წმინდა

	2023	2022
გაცემულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი	20,570	-
მიმდინარე ანგარიშზე დარიცხული პროცენტი	9,350	79,890
მიღებულ სესხებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობის ეფექტი	27,655	13,495
საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებულ სესხებზე დარიცხული საპროცენტო ხარჯი	(48,699)	(20,328)
	8,876	73,057

შპს „მაქსტერმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

11. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	მიწა	შენობა- ნაგებობა	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
01.01.2022	541,569	2,705,514	349,636	300,200	-	3,896,919
შემოსვლა	-	-	-	42,513	-	42,513
გასვლა	-	-	-	-	-	-
31.12.2022	541,569	2,705,514	349,636	342,713	-	3,939,432
შემოსვლა	-	-	294,738	53,496	994,901	1,343,135
გასვლა	-	-	(112,565)	(3,134)	-	(115,699)
31.12.2023	541,569	2,705,514	531,809	393,075	994,901	5,166,868

დაგროვილი ცვეთა

01.01.2022	-	(434,354)	(196,712)	(226,020)	-	(857,086)
ცვეთა	-	(53,962)	(45,776)	(30,737)	-	(130,475)
გასვლა	-	-	-	-	-	-
31.12.2022	-	(488,316)	(242,488)	(256,757)	-	(987,561)
ცვეთა	-	(53,962)	(71,305)	(35,964)	-	(161,231)
გასვლა	-	-	112,567	1,778	-	114,345
31.12.2023	-	(542,278)	(201,226)	(290,943)	-	(1,034,447)

წმინდა საბალანსო ღირებულება

31.12.2022	541,569	2,217,198	107,148	85,956	-	2,951,871
31.12.2023	541,569	2,163,236	330,583	102,132	994,901	4,132,421

კომპანიას მიღებული აქვს სესხები ფინანსური ინსტიტუტისგან, რომელიც უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, ჯამური საბალანსო ღირებულებით 1,579,138 ლარი და 1,615,466 ლარი, 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შესაბამისად.

12. მარაგები

	31.12.2023	31.12.2022
გატობის სისტემები	5,880,197	5,662,465
აბაზანის აქსესუარები და სანტექნიკა	1,337,880	1,247,387
მილგაყვანილობა	1,036,194	873,026
სხვა	79,026	50,598
საქონელი გზაში*	978,737	-
	9,312,034	7,833,476

(*) - საქონელი გზაში წარმოადგენს მარაგებს, რომელთან დაკავშირებითაც კომპანიაზე გადმოცემულია ფლობის რისკი და სარგებელი, თუმცა 31 დეკემბრისთვის აღნიშნული მარაგები იმყოფება გზაში.

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით საქონელი გზაში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.12.2023	31.12.2022
გატობის სისტემები	317,346	-
მილგაყვანილობა	661,391	-
	978,737	-

შპს „მაქსტერმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური მოთხოვნები		
სავაჭრო მოთხოვნები	998,195	726,703
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი	(303,459)	(219,626)
	694,736	507,077
არაფინანსური მოთხოვნები		
გადახდილი ავანსები	34,558	38,253
გაცემული ავანსების გაუფასურების რეზერვი	(13,732)	(13,732)
	20,826	24,521
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	715,562	531,598

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მოთხოვნების ხარისხობრივი ინფორმაცია ვადაგადაცილების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საბალანსო ღირებულება	გაუფასურების განაკვეთი	გაუფასურების ანარიცხი
ჯგუფურად განხილული მოთხოვნები			
მიმდინარე	183,143	1%	(1,831)
ვადაგადაცილებული 1-30	99,414	3%	(2,982)
ვადაგადაცილებული 31-60	74,592	10%	(7,459)
ვადაგადაცილებული 61-120	52,148	25%	(13,037)
ვადაგადაცილებული 121-180	86,247	50%	(43,124)
ვადაგადაცილებული 360 დღეზე მეტად	235,028	100%	(235,026)
სულ ჯგუფურად გაუფასურებული	730,572		(303,459)
გაუფასურებაზე ინდივიდუალურად განხილული მოთხოვნები	267,623	0%	-
სულ ჯგუფურად გაუფასურებული	998,195		(303,459)

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მოთხოვნების ხარისხობრივი ინფორმაცია ვადაგადაცილების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	საბალანსო ღირებულება	გაუფასურების განაკვეთი	გაუფასურების ანარიცხი
ჯგუფურად განხილული მოთხოვნები			
მიმდინარე	162,594	1%	(1,626)
ვადაგადაცილებული 1-30	55,596	3%	(1,668)
ვადაგადაცილებული 31-60	89,208	10%	(8,921)
ვადაგადაცილებული 61-120	23,132	25%	(5,783)
ვადაგადაცილებული 121-180	330	50%	(165)
ვადაგადაცილებული 360 დღეზე მეტად	201,465	100%	(201,463)
სულ ჯგუფურად გაუფასურებული	532,325		(219,626)
გაუფასურებაზე ინდივიდუალურად განხილული მოთხოვნები	194,378	0%	-
სულ ჯგუფურად გაუფასურებული	726,703		(219,626)

შპს „მაქსტერმი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხებში წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2023	2022
1 იანვარი	(233,358)	(136,020)
ცვლილება	(83,833)	(134,781)
გასვლა	-	37,443
31 დეკემბერი	(317,191)	(233,358)

14. ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.12.2023	31.12.2022
ფული სალაროში	67,745	162,197
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	584,903	603,532
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე უცხოურ ვალუტაში	2,961	3,069
	655,609	768,798

15. მიღებული სესხები

კომპანიის მიერ ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები ნომინირებულია როგორც ლარში, ასევე ევროში. ლარის სესხებზე საპროცენტო განაკვეთი განსაზღვრულია - 12.2%- დან 12.9%-მდე, ხოლო ევროში მიღებულ სესხებზე - 6.5%.

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საფინანსო ინსტიტუტებისგან მიღებული სესხები უზრუნველყოფილია კომპანიის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით, დეტალისთვის იხილეთ შენიშვნა 11.

ასევე, კომპანიას ფინანსური ინსტიტუტებისგან მიღებული სესხებზე სოლიდარული პასუხისმგებლობის ხელშეკრულებით თავდებში უდგანან კომპანიის დამფუძნებლები ბატონი გიორგი კუკულავა და ბატონი ზაქრო გორდაძე.

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2023	31.12.2022
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	3,526,968	2,742,905
	3,526,968	2,742,905
არაფინანსური ვალდებულებები		
მიღებული ავანსები	693,817	594,313
	693,817	594,313
	4,220,785	3,337,218

ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

(ლარში)

17. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
- ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
- გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
- დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (გ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.

დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიასა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარე
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	274,192
სრული შემოსავლის ანგარიშგება	
ამონაგები	231,838
სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები	(152,542)

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები და ნაშთები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და დასრულებული წლისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	სხვა დაკავშირებული მხარე
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	185,358
სრული შემოსავლის ანგარიშგება	
ამონაგები	276,733
სადისტრიბუციო და გაყიდვის ხარჯები	(84,195)

	2023	2022
უმაღლეს ხელმძღვანელ პირთა შრომის ანაზღაურება	(166,566)	(169,810)

18. პირობითი ვალდებულებები**იურიდიული საკითხები**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას, როგორც მოპასუხეს არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

საოპერაციო გარემო

საქართველოს ბაზარზე პოზიციონირება წარმოშობს დამატებით ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, სამართლებრივ და საკანონმდებლო რისკებს უფრო განვითარებულ ბაზართან შედარებით. კანონები და რეგულაციები, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები ზეგავლენას ახდენენ საქართველოში ბიზნესის სწრაფ განვითარებაზე. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ კურსზე ზემოქმედებას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოსთან ერთად.

ხელმძღვანელობას არ აქვს საშუალება ზუსტად იწინასწარმეტყველოს მოვლენათა ყველა შესაძლო განვითარება, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს საქართველოს ეკონომიკაზე და შესაბამისად კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ის მიმართავს ყველა საჭირო ღონისძიებას კომპანიის ბიზნესის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა არის სხვადასხვაგვარად ინტერპრეტაციისა და ცვლილების საგანი. ხელმძღვანელობის მხრიდან საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების მიერ ინტერპრეტაციებისაგან და კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის მანძილზე.

საგადასახადო ვალდებულებებთან დაკავშირებული ანარიცხები აღიარდება მაშინ, როდესაც თანხის განსაზღვრა საიმედოდ არის შესაძლებელი. ანარიცხი არ აღიარდება, ისეთ სადაო საგადასახადო საკითხებზე, რომლის დასაბეგრი თანხის საიმედოდ შეფასება შეუძლებელია. კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობიდან გამომდინარე, ადგილი არ ექნება რაიმე სახის დამატებითი ვალდებულების დარიცხვას, გარდა იმისა, რაც კომპანიას თვითონ აქვს აღრიცხული შესაბამის პერიოდებში.

დივიდენდის განაწილება

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიხედვით, კომპანია გადასახდელი მოგების გადასახადის ვალდებულებასა და ხარჯს აღიარებს განაწილებულ დივიდენდზე, იმ პერიოდში, როდესაც დივიდენდები არის გამოცხადებული, მიუხედავად იმისა, თუ რომელ პერიოდს ეკუთვნის დივიდენდი, ან როდის მოხდა დივიდენდების საბოლოო განაწილება.

პოტენციურად მაქსიმალური გადასახდელი მოგების გადასახადი, რომელიც შეიძლება კომპანიას წარმოექმნას გაუნაწილებელი მოგების მთლიანად დივიდენდის სახით განაწილების შემთხვევაში, არ არის აღიარებული კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში. მომავალში, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული გაუნაწილებელი მოგებიდან განაწილებული დივიდენდების შემთხვევაში გადასახდელი მოგების გადასახადის მაქსიმალურმა ოდენობამ შეიძლება შეადგინოს 1,478,319 ლარი.

19. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

მიღებული სესხები - კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ არსებული საკრედიტო ხაზის ხელშეკრულებების ფარგლებში ფინანსური ინსტიტუტებისგან აიღო ახალი ტრანშები 1,189,500 ლარის და 800,000 ევროს ოდენობით. გარდა ამისა, კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დაფარა მიღებული სესხები დარიცხულ პროცენტთან ერთად ჯამური ღირებულებით 219,281 ლარი, 520,182 ევროს ოდენობით.

გაცემული დივიდენდი - კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ გასცა 1,470,000 ლარის დივიდენდი.

შპს „მაქსთერმი“

მმართველობის ანგარიშგება

(საქმიანობის მიმოხილვა)

შპს მაქსთერმის შესახებ

შპს მაქსთერმი სამეწარმეო რეესტრში დარეგისტრირდა 2005 წლის 21 მარტს, საიდენტიფიკაციო კოდით - 237978113. კომპანია საქმიანობას ეწევა “მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონის, საქართველოში მოქმედი სხვა კანონებისა და კანონქვემდებარე აქტებისა და წესების შესაბამისად.

კომპანიას ჰყავს ორი მესაკუთრე გიორგი კუკულავა (70%-იანი წილი) და ზაქრო გორდაძე (30%-იანი წილი).

კომპანიის დირექტორია გიორგი კუკულავა.

ვებ გვერდი: www.maxtherm.ge . საკონტაქტო ნომერი - (+995 32) 2 25 72 27. მეილი: info@maxtherm.ge

შპს მაქსთერმი-ს ოფისი მდებარეობს ქალაქ თბილისში, ბელიაშვილის #149-ში, კომპანიის შოურუმის ტერიტორიაზე.

საქმიანობის მიმოხილვა

შპს მაქსთერმი უკვე 19 წელზე მეტია, რაც საქართველოს ბაზარზე მშენებლობისა და ინტერიერის დიზაინსთვის საჭირო აქსესუარებითაა წარმოდგენილი. კომპანია დაარსდა 2005 წელს. მაქსთერმის პირველი შოურუმი „ელიავას ბაზრობაზე“ მდებარეობდა. ამჟამად კომპანიას 5 ფიზიკური ფილიალი აქვს საქართველოს 3 ქალაქში და 2023 წლიდან ამუშავდა ონლაინ მაღაზიაც.

შპს მაქსთერმის მაღაზიათა ქსელი მომხმარებელს სთავაზობს გათბობის, ვენტილაციისა და წყალ-კანალიზაციისთვის განკუთვნილ პროდუქციას და აბაზანის მოწყობისთვის საჭირო აქსესუარებს, როგორცაა უნიტაზები, ნიჟარები, ონკანები, კერამოგრანიტის ფილები და საშხაპე სისტემები.

შპს მაქსთერმის მომწოდებლები ძირითადად არიან იტალიური, სერბული, თურქული და ჩინური კომპანიები. მაქსთერმი საქართველოში შემდეგი ევროპული ბრენდების ექსკლუზიური წარმომადგენელია: Fondital, Valsir, Comisa, Pestan, Wavin, Scarabeo, Caesar Ceramiche. კომპანიის შოურუმებში წარმოდგენილია სხვა ისეთი საერთაშორისო ბრენდებიც, როგორცაა Giacomini და სხვა.

მომხმარებლისთვის დამატებითი კომფორტის შექმნის მიზნით, კომპანია უზრუნველყოფს ადგილზე მიწოდების სერვისს, როგორც ონლაინ შეკვეთის დროს, ასევე ფიზიკურად შოურუმიდან შესყიდვის დროს.

მომხმარებლის მოთხოვნის შესაბამისად მაქსთერმის პროექტების მართვის გუნდი კი უზრუნველყოფს სამონტაჟო სამუშაოებსაც.

ფილიალები

შპს მაქსთერმს 5 ფიზიკური შოურუმი აქვს. მაღაზიები მდებარეობს თბილისში, ბათუმსა და ქუთაისში. თბილისში მაქსთერმის შოურუმები შემდეგ მისამართებზეა:

- ა.ბელიაშვილის #149
- ელიავა, ხოშარაულის ქუჩის მიმდებარედ
- ელიავა, კოსმონავტების #21

ბათუმის ფილიალი მდებარეობს სულაბერიძის #8-ში, ხოლო ქუთაისში არსებული მაქსთერმის მაღაზიის მისამართია გუგუჩავას #20.

დამატებით 2023 წლის შემოდგომიდან, შპს მაქსთერმის ვებგვერდზე დაინერგა ონლაინ გაყიდვების ფუნქციონალი და მომხმარებელს აქვს შესაძლებლობა კომპანიის მიერ შეთავაზებული პროდუქცია სახლიდან გაუსვლელად შეიძინოს.

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები და შრომის უსაფრთხოება

კომპანიის საქმიანობის გაფართოების კვალდაკვალ იზრდებოდა დასაქმებულთა რაოდენობაც.

დასაქმებულთა აბსოლუტური უმრავლესობა საქართველოს მოქალაქეა.

აღსანიშნავია, რომ კომპანია დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კადრების განათლების ხარისხს, გამოცდილებას და კომპეტენტურობას. კადრების კვალიფიციურობა კომპანიას ეხმარება მომხმარებლებთან ურთიერთობის სწორად წარმართვასა და კომპანიის გამართულ ფუნქციონირებაში.

სხვა მნიშვნელოვანი არაფინანსური მოვლენები

- 2023 წლის 1 ივნისიდან კომპანია მაქსთერმი მომხმარებელს დამატებით ბენეფიტს სთავაზობს ტექნიკოსების მომსახურების სერვისის სახით. Fondital-თან ექსკლუზიური პარტნიორობის ფარგლებში, მაქსთერმის იტალიაში გადამზადებული ტექნიკოსები, სრულ მომსახურებას გაუწევენ გათბობის ქვების, როგორც საგარანტიო, ასევე არასაგარანტიო გამოძახებებს.
- 2023 წლიდან კომპანია მაქსთერმში დაემატა კორპორატიული გაყიდვების დეპარტამენტი. ამ დეპარტამენტის ძირითადი მიზანია კორპორატიული კლიენტების მოზიდვა და მომსახურება.

- 2023 წლის შემოდგომიდან, კომპანიის საიტზე ჩაეშვა ონლაინ გაყიდვების ფუნქციონალი, რომელიც მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს შოურუმში მოსვლის გარეშე შეიძინოს მისთვის სასურველი პროდუქცია. ონლაინ შეძენის დროს მომხმარებელს შეუძლია, როგორც შერჩეული პროდუქციის სრული ღირებულების გადახდა, ასევე სხვადასხვა ბანკების განვადების სერვისებით სარგებლობა.
- 2023 წლიდან, მაქსთერმის პარტნიორი მომწოდებლების სიას დაემატა ერთ-ერთი წამყვანი იტალიური კერამიკის ბრენდი Ceramiche Caesar. ბრენდი მომხმარებელს სთავაზობს მეტალის, ქვის, მარმარილოსა და ხის ეფექტის პორცელანის ფილებს. კოლექციები ხელმისაწვდომია სხვადასხვა ფაქტურებსა და ზომებში, მათ შორის დიდი ფორმატის "SLAB" კერამიკული ფილებიც.
- 2023 წელს ბელიაშვილის #149-ში მდებარე შოურუმსა და ოფისში დაიწყო სარემონტო სამუშაოები და განახლებულ სივრცეებს მაქსთერმი 2024 წლიდან წარუდგენს მომხმარებელსა და პარტიორებს.

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

	2023	2022	ცვლილება*
საერთო მოგების მარჟა	27.40%	23.80%	3.6%
წმინდა მოგების მარჟა	11.80%	12.30%	-0.5%
ROA-უკუგება აქტივებზე	24%	31%	-7%
ROE-უკუგება კაპიტალზე	37%	45%	-8%
მიმდინარე ლიკვიდურობა	2.4	2.4	-
მარაგების ბრუნვა დღეებში	141	123	18
მოთხოვნის ბრუნვა დღეების კოეფიციენტი	7	6	1

(*) - 2023 წელს გაზრდილი მოთხოვნის ბრუნვა დღეების კოეფიციენტი გამოწვეულია კორპორატიული დეპარტამენტის დამატებით, რის შედეგადაც მოიმატა ისეთი მომხმარებლების რაოდენობამ, რომლებთანაც ხდება კონსიგნაციის პირობებით თანამშრომლობა. გარდა ამისა, სხვა ფინანსურ მაჩვენებლებში არსებული მცირედი ცვლილებები გამოწვეულია ბელიაშვილის შოურუმში არსებული სამონტაჟო სამუშაოებით, რადგან 2023 წლის მეორე ნახევარში ფილიალი არ მუშაობდა სრული დატვირთვით.

ფინანსური კოეფიციენტები მეტნაკლებად შენაჩუნებულია სტაბილურ დონეზე.

რისკები და მართვა

ხელმძღვანელობა სრულად პასუხისმგებელია კომპანიის რისკების მართვის ჩამოყალიბებასა და მის მართვაზე, რაც გულისხმობს რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზს, კონტროლის უზრუნველყოფას და მონიტორინგს. საბაზრო პირობების ცვლილებისას ან/და კომპანიის შიდა ცვლილებების ასახვისას რისკების მართვის სისტემა რეგულარულად განიხილება და ტრენინგებისა და პროცედურების საშუალებით აყალიბებს დისციპლინირებულ და კონსტრუქციულ გარემოს, სადაც ყველა თანამშრომელს გათვითცნობიერებული აქვს მისი როლი და ვალდებულება.

კომპანია საქმიანობას საქართველოს ტერიტორიაზე ეწევა, შესაბამისად ქვეყანაში მოქმედი შიდა პოლიტიკური თუ სოციალური ფაქტორები აისახება კომპანიის მუშაობასა და განვითარებაზე. კომპანიის საქმიანობა რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, საკანონმდებლო მოთხოვნებთან შეუსაბამობის რისკების აცილების გამო კომპანიას დაქირავებული ყავს როგორც შიდა სპეციალისტები, ისე სპეციალიზებული კომპანიები, რომლებიც უზრუნველყოფენ იურიდიულ და საგადასახდო საკონსულტაციო მომსახურებას.

კომპანია მრავალი წელია თანამშრომლობს საქართველოში მოქმედ მსხვილ საბანკო ინსტიტუტებთან, როგორც საკრედიტო, ისე ფულადი სახსრების მოძრაობის კუთხით. სასესხო ვალდებულებების შეუსრულებლობისას რისკი დაზღვეულია ფულის ან სხვა აქტივის მიწოდებით, რითაც კომპანია უზრუნველყოფს მისი ლიკვიდურობის შენარჩუნებას. თუმცა აღსანიშნავია რომ მისი არსებობის მანძილზე არ ქონია მსგავსი შემთხვევები და აქვს პოზიტიური საკრედიტო ისტორია.

განვითარების გეგმები

- 2024 წლის გაზაფხულიდან დასრულდა მაქსთერმის სათავო ოფისის მშენებლობა-რემონტი, ხოლო შემოდგომიდან ბელიაშვილის #149-ში მდებარე შოურუმი განახლებული სივრცითა და ინტერიერით უმასპინძლებს მომხმარებელს.

პერიოდის შემდგომი მნიშვნელოვანი მოვლენები

- 2024 წლის 15-20 აპრილს მაქსთერმის კომერციული დეპარტამენტი, სამშენებლო სფეროს წარმომადგენლებთან ერთად, სამუშაო ვიზიტით ესტუმრა სილმარ ჯგუფში შემავალ პარტნიორ კომპანიებს. ვიზიტის ფარგლებში, ჯგუფმა დაათვალიერა Fondital-ის, Raffmetal Spa და Valsir-ის საწარმოები, სადაც გაეცნო პროდუქტებს, წარმოების პროცესებსა და ტექნოლოგიურ სიახლეებს.
- 2024 წლის 26-28 აპრილს ExpoGeorgia-ში მიმდინარე მშენებლობისა და ინტერიერის 29-ე საერთაშორისო გამოფენაზე მაქსთერმი გახდა გამარჯვებული ნომინაციაში - “ყველაზე ინტერაქციული სტენდი”.
- 2024 წლიდან შპს მაქსთერმის პარტნიორთა სიას კონდიციონერების იტალიური ბრენდი Maxa შეემატა. ბრენდი მომხმარებელს სთავაზობს უახლესი თაობის მულტისპლიტ ინვერტორულ კონდიციონერებს.
- 2024 წლის ივნისში გათბობისა და სანტექნიკის სფეროში მოღვაწე ქართველი მემონტაჟეები, მაქსთერმის ორგანიზებით, პროფესიული ვიზიტით იტალიაში მდებარე Giacomini Group -სა და Comisa S.p.A-ს ქარხნებს ესტუმრნენ. ინიციატივის მიზანი იყო მათი ტექნიკური უნარების გაუმჯობესება და პროდუქტის შესახებ ცოდნის გაღრმავება. მსგავსი საგანმანათლებლო ვიზიტები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინდუსტრიის სტანდარტების ამაღლებაში და პროფესიული ზრდის ხელშეწყობაში.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 24 სექტემბერს კომპანიის დირექტორის მიერ:

გიორგი კუკულავა

შპს მაქსთერმი

დირექტორი

შპს მაქსთერმი

მმართველობის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

განვითარების გეგმები

- 2024 წლის გაზაფხულიდან დასრულდა მაქსთერმის სათავო ოფისის მშენებლობა-რემონტი, ხოლო შემოდგომიდან ბელიაშვილის #149-ში მდებარე შოურუმი განახლებული სივრცითა და ინტერიერით უმასპინძლებს მომხმარებელს.

პერიოდის შემდგომი მნიშვნელოვანი მოვლენები

- 2024 წლის 15-20 აპრილს მაქსთერმის კომერციული დეპარტამენტი, სამშენებლო სფეროს წარმომადგენლებთან ერთად, სამუშაო ვიზიტით ესტუმრა სილმარ ჯგუფში შემავალ პარტნიორ კომპანიებს. ვიზიტის ფარგლებში, ჯგუფმა დაათვალიერა Fondital-ის, Raffmetal Spa და Valsir-ის საწარმოები, სადაც გაეცნო პროდუქტებს, წარმოების პროცესებსა და ტექნოლოგიურ სიახლეებს.
- 2024 წლის 26-28 აპრილს ExpoGeorgia-ში მიმდინარე მშენებლობისა და ინტერიერის 29-ე საერთაშორისო გამოფენაზე მაქსთერმი გახდა გამარჯვებული ნომინაციაში - "ყველაზე ინტერაქციული სტენდი".
- 2024 წლიდან შპს მაქსთერმის პარტნიორთა სიას კონდიციონერების იტალიური ბრენდი Maxa შეემატა. ბრენდი მომხმარებელს სთავაზობს უახლესი თაობის მულტისპლიტ ინვერტორულ კონდიციონერებს.
- 2024 წლის ივნისში გათბობისა და სანტექნიკის სფეროში მოღვაწე ქართველი მემონტაჟეები, მაქსთერმის ორგანიზებით, პროფესიული ვიზიტით იტალიაში მდებარე Giacomini Group -სა და Comisa S.p.A-ს ქარხნებს ესტუმრნენ. ინიციატივის მიზანი იყო მათი ტექნიკური უნარების გაუმჯობესება და პროდუქტის შესახებ ცოდნის გაღრმავება. მსგავსი საგანმანათლებლო ვიზიტები მნიშვნელოვან როლს თამაშობს ინდუსტრიის სტანდარტების ამაღლებაში და პროფესიული ზრდის ხელშეწყობაში.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომზადებული მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 24 სექტემბერს კომპანიის დირექტორის მიერ:

გიორგი კუკულავა

შპს მაქსთერმი

დირექტორი

